ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 471

22 სექტემბერი
"___" _____ 2023 წ.

ქ. თბილისი

შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში ი.ბ.ა ,,ვაშლიჯვარის" (ს/ნ. 205584820) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის ქუჩა №12 (ს/კ. №01.10.18.005.046, ფართობი 668 კვ.მ.) - მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში ი.ბ.ა ,,ვაშლიჯვარის" (ს/ნ. 205584820) მიმართ მისამართზე: - ქ. თბილისი, არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის ქუჩა №12 (საკადასტრო კოდი: №01.10.18.005.046, ფართობი 668 კვ.მ.) - მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 20 სექტემბრის №23.1404.1533 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ი.ბ.ა ,,ვაშლიჯვრის" (ს/ნ. 205584820) მიმართ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით (2023 წლის 11 აპრილის №157 განკარგულება) განსაზღვრული მხარდამჭერი ღონისძიებების და წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის ფარგლებში (№19/01232361028-01, 24.08.2023; №19/01232513111-01, 08.09.2023), მისამართზე - ქ. თბილისი, არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის ქუჩა №12 (ს/კ. №01.10.18.005.046, ფართობი 668 კვ.მ) არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში, შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენებასთან

დაკავშირებით - არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე მიჯნის ზონის დაუცველად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე